სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

15 იანვარი, 2025 წელი

ბრძანება № 01-02/01

ბსუ-ში 2025-2026 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილების, „ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 11 დეკემბრის №07-01/69 გადაწყვეტილების, რექტორის მოადგილის 2024 წლის 14 იანვრის № 10805 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს ბსუ-ში **2025-2026 წლებში განსახორციელებელი** (10.03.2025-15.12.2026წწ.) **მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსი შემდეგ მიმართულებებში:**
   1.1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
   1.2. ინჟინერია, ტექნოლოგიები;
   1.3. აგრარული მეცნიერებები;
   1.4. ეკონომიკა და ბიზნესი;
   1.5. ჰუმანიტარული მეცნიერებები;
   1.6. სოციალური მეცნიერებები;
   1.7. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები;
   1.8. მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები;
   1.9. ტურიზმის მენეჯმენტი;
   1.10. ინტერდისციპლინური კვლევები.
2. 2025-2026 წლებში განსახორციელებელი ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების **საერთო ბიუჯეტი განისაზღვროს 300 000 ლარის** ოდენობით, მათ შორის:
   ა) თითოეული მიმართულებით (1.1.-1.10.) სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელების ბიუჯეტი (საერთო ღირებულება) არ უნდა აღემატებოდეს **20 000 ლარს;**
   ბ) **თითოეული მიმართულებით** (1.1.-1.10.) **ახალგაზრდა მკვლევართა** (პირი, რომელსაც დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა კონკურსის გამოცხადების თარიღიდან ბოლო 7 წლის პერიოდში) მიერ წარმოდგენილი პროექტის ბიუჯეტი არ უნდა აღემატებოდეს **10 000 ლარს;**

გ) თითოეული მიმართულებით (1.1.-1.10.) სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესრულების დაწყების თარიღი - არაუადრეს 2025 წლის 10 მარტისა, ხოლო დასრულების თარიღი- არაუგვიანეს 2026 წლის 15 დეკემბრისა.

3. კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს **2025 წლის 10 თებერვლიდან 17 თებერვლის ჩათვლით (გარდა შაბათ-კვირისა და უქმე დღეებისა), 10:00 სთ-დან 16:00 სთ-ის დროის მონაკვეთში, თავდაპირველად ელექტრონული სახით** (მისამართზე bsugrant@bsu.edu.ge) და მხოლოდ აღნიშნული ქმედების განხორციელების შემდეგ, ასევე **მატერიალური სახით** (ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარიაში):

ა) საპროექტო განაცხადი (შევსებული წინამდებარე ბრძანების **N1 დანართის** შესაბამისად);

ბ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერილობა და გეგმა-გრაფიკი (შევსებული წინამდებარე ბრძანების N2 **დანართის** შესაბამისად);

გ) მიზნობრივი პროექტების დაფინანსების **ბიუჯეტი**, ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებული (შევსებული წინამდებარე ბრძანების **N3 დანართის** შესაბამისად);

დ) მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობაზე (ჩასართავი პერსონალის/სტუდენტების) თანხმობის წერილები (შევსებული წინამდებარე ბრძანების N4 **დანართის** შესაბამისად);

ე) პროექტის მონაწილეთა (პერსონალის) CV-ები;

ვ) ცნობა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო ბარათი (პროექტში ჩასართავი ბსუ-ს სტუდენტისათვის).

4. კონკურსის გამოცხადების შესახებ განცხადება, წინამდებარე ბრძანება და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 09 ივნისის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესარჩევი კონკურსის დებულება“ **განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე** (ველებში „კონკურსები“ და „ბსუ-ს სამართლებრივი აქტები).

5. სამეცნიერო კვლევების სამსახურმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების შესაბამისად ბსუ-ს ვებგვერდზე განსათავსებელი კონკურსის განცხადების მომზადება და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

6. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს ბსუ-ს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ფაკულტეტების და ინსტიტუტების ადმინისტრაციების მიერ და ასევე გავრცელდეს ინფორმაცია ბსუ-ს პორტალის მეშვეობით (დაეგზავნოს სმს შეტყობინება).

7. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს: საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,

პროფესორი **მერაბ ხალვაში**

„ბსუ-ში 2025-2026 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 15 იანვრის N01-02/1ბრძანების

დანართი 1

საპროექტო განაცხადი	
განმცხადებელი/ პროექტის ხელმძღვანელი (სახელი, გვარი და დაკავებული თანამდებობა, ფაკულტეტის/ინსტიტუტის მითითებით)	
პროექტის ტიპი (შემოხაზეთ/ხაზი გაუსვით მარჯვენა სვეტში შესაბამის სტატუსს)	○ ძირითადი პროექტი ○ ახალგაზრდა მკვლევარის პროექტი
ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დასახელება	
მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის მიმართულება (შემოხაზეთ/ხაზი გაუსვით მარჯვენა სვეტში შესაბამის მიმართულებას)	1.1. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები; 1.2. ინჟინერია, ტექნოლოგიები; 1.3. აგრარული მეცნიერებები; 1.4. ეკონომიკა და ბიზნესი; 1.5. ჰუმანიტარული მეცნიერებები; 1.6. სოციალური მეცნიერებები; 1.7. მედიცინისა და ჯანმრთელობის მეცნიერებები; 1.8. მათემატიკა, კომპიუტერული მეცნიერებები; 1.9. ტურიზმის მენეჯმენტი; 1.10. ინტერდისციპლინური კვლევები.
პროექტის ხანგრძლივობა	
პროექტის ბიუჯეტი (სულ)	
საპროექტო განაცხადის თანდართული დოკუმენტები	
სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერილობა და გეგმა-გრაფიკი - **დანართი N2**	**გვერდის რაოდენობა -**
სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ბიუჯეტი - **დანართი N3**	**გვერდის რაოდენობა**
მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობაზე თანხმობის წერილი - **დანართი N4**	**გვერდის რაოდენობა**

პროექტში მონაწილეთა (პერსონალის) CV-ები	გვერდის რაოდენობა
ცნობა ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შესახებ და სასწავლო ბარათი (პროექტში ჩასართავი ბსუ-ს სტუდენტისათვის).	გვერდის რაოდენობა
განმცხადებლის ხელმოწერა:	----------
საპროექტო განაცხადის წარმოდგენის თარიღი:	----------

„ბსუ-ში 2025-2026 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 15 იანვრის N01-02/01 ბრძანების

დანართი 2

ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის აღწერილობა

და გეგმა-გრაფიკი

პროექტის აღწერილობა:

ა) პროექტის სახელწოდება: „----------

ბ) პროექტის ხანგრძლივობა (არაუადრეს 10.03.2025 და არაუგვიანეს 15.12.2026):

გ) კვლევის სიახლე და აქტუალურობა - პროექტით გათვალისწინებული კვლევის თემის/საკითხის მიმოხილვა, აღწერა, აქტუალურობისა და მეცნიერული სიახლის დასაბუთება (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 600).

დ) კვლევის მიზნები, ამოცანები და კვლევის მეთოდოლოგია - კვლევის მიზნებისა და ამოცანების ფორმულირება, კვლევის მეთოდების აღწერა, კვლევის მეთოდოლოგიის დასაბუთება (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400).

ე) კვლევის შედეგები და განვითარების პერსპექტივა - კვლევის მოსალოდნელი შედეგების ფორმულირება; კვლევის განვითარების შესაძლებლობა გრძელვადიან პერსპექტივაში (სიტყვების მაქსიმალური რაოდენობა - 400).

პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი

ამოცანის დასახელება	შესაბამისი აქტივობა	შესრულების პერიოდი 2025 წელი										შედეგები	შემსრულებლები
		I თვე- 10 მარტიდან	II თვე აპრილი	III თვე მაისი	IV თვე ივნისი	V თვე ივლისი	VI თვე აგვისტო	VII თვე სექტემბერი	VIII თვე ოქტომბერი	IX თვე ნოემბერი	X თვე დეკემბერი		

ამოცანის დასახელება	შესაბამისი აქტივობა	შესრულების პერიოდი 2026 წელი												შედეგები	შემსრულებლები
		I თვე იანვარი	II თვე თებერვალი	III თვე მარტი	IV თვე აპრილი	V თვე მაისი	VI თვე ივნისი	VII თვე ივლისი	VIII თვე აგვისტო	IX თვე სექტემბერი	X თვე ოქტომბერი	XI თვე ნოემბერი	XII თვე დეკემბერი - (არაუგვიანეს 15 დეკემბერი)		

შენიშვნა: დაგეგმილი ამოცანების და აქტივობების გასწვრივ „შესრულების ვადაში" თქვენ მიერ დაგეგმილი შესრულების თვე/თვეების გრაფებში გააფერადეთ ან აღნიშნეთ +

„ბსუ-ში 2025-2026 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 15 იანვრის N01-02/01 ბრძანების

დანართი N3

ბსუ-ს მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ბიუჯეტი

ხარჯვის კატეგორია	შესრულების პერიოდი - 2025 წელი										ჯამური ღირებულება
	I თვე- არაუადრეს 10 მარტი	II თვე აპრილი	III თვე მაისი	IV თვე ივნისი	V თვე ივლისი	VI თვე აგვისტო	VII თვე სექტემბერი	VIII თვე ოქტომბერი	IX თვე ნოემბერი	X თვე დეკემბერი	
პროექტის მონაწილეთა შრომის ანაზღაურება											
სახელი, გვარი											
მივლინება											
საქონელი და მომსახურება											
ძირითადი აქტივები											

ბსუ-ს შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის წარმდგენის (განმცხადებელის) ხელმოწერა ----------

პროექტის ბიუჯეტზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინასწარი (პირობითი) თანხმობა ----------

ხარჯვის კატეგორია	შესრულების პერიოდი - 2026 წელი												ჯამური ღირებული
	I თვე იანვარი	II თვე თებერვალი	III თვე მარტი	IV თვე აპრილი	V თვე მაისი	VI თვე ივნისი	VII თვე ივლისი	VIII თვე აგვისტო	IX თვე სექტემბერი	X თვე ოქტომბერი	XI თვე ნოემბერი	XII თვე - არაუგვიანეს 15 დეკემბერი	
პროექტის მონაწილეთა შრომის ანაზღაურება													
სახელი, გვარი													
მივლინება													
საქონელი და მომსახურება													
ძირითადი აქტივები													
ჯამი													

ბსუ-ს შიდა მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის წარმდგენის (განმცხადებელის) ხელმოწერა ----------

პროექტის ბიუჯეტზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინასწარი (პირობითი) თანხმობა ----------

,,ბსუ-ში 2025-2026 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“
ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 15 იანვრის N01-02/01 ბრძანების
დანართი N4

ბსუ-ს მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევით პროექტში მონაწილეობაზე თანხმობის წერილი

თანახმა ვარ მონაწილეობა მივიღო ----------

დარგობრივი მიმართულებით მიზნობრივ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის _____ შესრულებაში, რომელიც წარმოდგენილია ხელმძღვანელობით.

პროექტში ჩასართავი პერსონალი (ძირითადი და დამხმარე):

№	სახელი და გვარი	დაკავებული თანამდებობა	**პოზიცია პროექტში** (პროექტის მიხედვით შესასრულებელი ფუნქცია (მოვალეობა)	ხელმოწერა
1.				
2.				
3.				

პროექტში ჩასართავი ბსუ-ს სტუდენტები:

№	სახელი და გვარი	ფაკულტეტი, სწავლების საფეხური	პროექტის მიხედვით შესასრულებელი ფუნქცია (მოვალეობა)	ხელმოწერა
1.				
2.				
3.				